საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

კვირა, 28 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 106 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 106

კომუნას თავიდანვე უნდა ალეარებია; რომ მუშათა კლასს, როდესაც ის ძალა უფლებას ხელში ჩაიგდებს, არ შეუძლია ისარგებლოს თავის მიზნებისათვის ძველი სახელმწიფო აპარატით; თუ ამ კლასს არ სურს დაკარგოს დაპყრობილი ბატონობა, მან უნდა ყოვლათ პირველათ თავიდან მოიცილოს მთელი ძველი, აქამდის მის წინააღმდეგვე მომართული მჩაგვრელობის მექანიზმი, მეორე მხრივ—უზრუნველყოს თავისი თავი, რომ არავითარი საფრთხე არ მოელოდეს თავის მოსამსახურეთა და რწმუნებულების მხრივ—უზრუნველყოს თავი იმითი, რომ ყოველ დროს შეეძლოს მას ყველასი გამოუკლებლათ სამსახურიდან გადაყენება.

ფრ. ენგელსი.



## ფრიდრიხ ენგელსი

(დაბადებიდან 100 წლის თავზე).

პროლეტარიატი მემკვიდრეა ბურჟუაზიული კულტურის, რომელსაც იგი გადააქცევს მთელი საზოგადოების კუთვნილებათ. ამ კულტურიდან მან ფასდაუდებელი განძი მიიღო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მას ძალა არ შესწევდა მთელ მემკვიდრეობას დაპატრონებოდა. ეს განძია ბურჟუაზიული მეცნიერების ნიადაგიდან წარმოშობილი მეცნიერული კომუნიზმი და მისი გენიოსი-შემქმნელნი კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი.

ბურჟუაზიულ ქვეყანას ხელიდან გასხლტა ეს ორი ბუმბერაზი შვილი და მათ ჭეშმარიტი მამობა გაუწიეს მათ წარმომშობ კლასის მომავალ მესაფლავეს. არაფრის მქონე, ჩაგრულ დატანჯულ პროლეტარიატისთვის უდიდესი ბედნიერება იყო ამ ორი ბურჟუაზიული ინტელიგენტის მის წრეში შემოფარება. მათ მისცეს პროლეტარიატს უძლიერესი იარაღი მტერთან საბრძოლველათ, მათ მისცეს მას მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი არსება.

კარლ მარქსი და მისი განუყრელი მეგობარი, მასავით ნათელი მოაზრე, რევოლიუციონური ცეცხლით აღგზნებული, პროლეტარიატის ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი ფრიდრიხ ენგელსი! არ შეიძლება ამ ორი სახელის ერთმანეთიდან დაშორება. ისინი ერთათ სწერდენ პროლეტარიატისათვის ახალ სახარებას, რომელსაც ეწოდება „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“. ორივე კომუნისტები, ისინი ერთათ ხელმძღვანელობდენ მაშინდელ კომუნისტურ ორგანიზაციას, ეგრეთ წოდებულ „კომუნისტების კავშირს“. ინტერნაციონალისტები, ისინი ერთათ ქმნიდენ და განამტკიცებდენ მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციას, სახელდობრ პირველ ინტერნაციონალს. მეცნიერები, ისინი ერთათ სდარაჯობდენ პროლეტარულ შეგნების სიწმინდეს ბურჟუაზიულ და წვრილ—ბურჟუაზიულ შემრყვნელთა წინააღმდეგ. ისინი ერთათ იტანდენ ყოველ თავდასხმას, და ერთათ უტევდენ მტრის ბანაკს.

სიკვდილმა გაჰყარა ეს ორი თან შეზრდილი და ძმათ—შეფიცებული მებრძოლი და მარქსის სიკვდილის შემდეგ ენგელსმა მარტომ განაგრძო სახელოვანი დროშის ზიდვა. მან დაათავა ის დიადი შენობა, რომლის დასრულება მარქსს არ დასცალდა უწყალო სიკვდილის გამო. ენგელსს წილათ ერგო თავისი თვალით ენახა, რა მადლიანი, ნაყოფიერი და ქვეყნის მნათობელი შეიქნა ის დიადი მოძღვრება, რომელიც მან და მარქსმა შექმნა პროლეტარიატის საბედნიეროთ. მას გულს აკლდა, რომ მარქსი ვერა ხედავდა ამ დიად სანახაობას.

მაგრამ დღეს უფრო დიადია ეს სანახაობა. დღეს მთელი ქვეყანა კიდით-კიდემდე მოცულია იმ რევოლიუციონური პროცესით, რომელიც მარქსმა განსჭვრიტეს ამ სამოცდა-ათი წლის წინეთ. მონობის ქვეყანა ინგრევა, აუცილებლობის სამეფო ადგილს უთმობს თავისუფლების სამეფოს.

მსოფლიო პროლეტარიატის ძალთა დემონსტრაციის დღეს, 1890 წლის 1 მაისს ენგელსი სწერდა: „ნეტავ მარქსი დღეს ცოცხალი იყოს, რომ ეს საკუთარი თვალით ენახა!“

ენგელსის დაბადების ასი წლის თავზე, 1920 წელს, როდესაც ძლევა მოსილი პროლეტარული რევოლიუცია მარქს-ენგელსის დროშის ქვეშ მიმდინარეობს, ჩვენ ვიტყვით: ნეტავ მარქსი და ენგელსი ცოცხალი იყვნენ, რომ თავისი თვალით ენახათ ის ქვეყნის მხსნელი სოციალური რევოლიუცია, რომლის პირველი მოციქულები ისინი იყვნენ!

უკანასკნელ დროს გერმანელ ფილისტერს ისევ თავზარი ეცემა პროლეტარიატის დიქტატურის გაგონებაზე. პატივცემულო მეუფენო, გსურთ გაიგოთ, თუ რა არის ეს დიქტატურა? შეხედეთ პარიზის კომუნას. ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურა.

ფრ. ენგელსი.

## კვალ და კვალ

### VII. „ელაპარაკე რეგვენსო, და ურახუნე კედელსო“.

ბ. ს. დევდარიანს მოუნდომებია თავის დახწევა იმ უხერხულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩავარდნილა ის დღეს და შედგომია თავის მართლებას. მაგრამ ეს მისი თავის მართლება ისეთი უკბილოა, რომ ამას ყოველი მკითხველი ადვილათ შეამჩნევს რამდენიც არ უნდა უმტკიცოთ, რამდენიც არ უნდა დაუსაბუთოთ ესა თუ ის კითხვა მარქსიზმის მიხედვით, ის მაინც თავისას არ იშლის და იმეორებს „დემოკრატიის“ „მამაო ჩვენოს“, რომელსაც ხან ლექსათ და ხან პროზათ გადმოგვცემს.

როგორია მისი თავის მართლება? რაში გამოიხატება მისი ჩვეულებრივი თაღლითობა?

ჩვენ ვწერდით (იხ. „ახ. კომ.“ №№ 99, 100), რომ მენშევიკებს არ სწამთ კლასიური დიქტატურა, ისინი არ დგანან კლასიურ ნიადაგზე; (რასაკვირველია არ სწამთ პროლეტარიატის დიქტატურა, პროლეტარიატის კლასიური ნიადაგი მხოლოდ, არსებითად კი ისინი დგანან წვრილ ბურჟუაზიის კლასის ნიადაგზე და მისი საზომით ზომავენ ყველაფერს) რომ მათი აზრით სახელმწიფოში უნდა იყოს გაბატონებული მთელი ხალხი და არა ერთი რომელიმე კლასი. ამას სწერდენ ისინი მუდამ თავიანთ გაზეთებში და სხვა გამოცემებში; ამას ჩასჩიჩინებდენ ისინი ქართველ „დემოკრატიას“.

მაგრამ დღეს გამომდგარა ბ. დევდარიანი „ერთობის“ ფურცლებზე და თავმოკატუნებული გაიძახის. ჩვენ მუდამ მომხრე ვიყავით პროლეტარიატის კლასიურ დიქტატურის და კლასიურ ნიადაგზე დგომისა.

მაგრამ ნათქვამია „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებსო“. ორიოდე დღის წინ ბ. დევდარიანი უსაყვედურებდა კომუნისტებს და „საქართველოელებს“ და სწერდა, რომ „ისიც ვიწრო კლასობრივ. უკეთ ვსთქვათ, ჯგუფური ინტერესების ნიადაგზე დგას, ესეც. ის ფიქრობს ბურჟუაზია უნდა გამეფდესო, ეს „მუშა-გლეხების“ დიქტატურას გვაწვდის“. ამიტომ „არც ერთს არ სწამს სახელმწიფო, არც ერთს არ აქვს სახელმწიფო აზროვნებაო“. აქედან აშკარაა, თუ როგორ არ არის წინააღმდეგი ის „ვიწრო კლასობრივ“ ინტერესების ნიადაგზე დგომის.

ამის გარდა, ნუ თუ დაავიწყდა ბ. დევდარიანს, თუ როგორ სასტიკათ ილაშქრებდა მისი კოლეგა ბ. ვოიტინსკი „ბორბის“ ფურცებლზე ყოველგვარ კლასიური დიქტატურის წინააღმდეგ?

დღეს კი თუმცალა ბ. დევ—ნი აღიარებს და ცნობს (რასაკვირველია მხოლოდ სიტყვით და არა საქმით) პროლეტარიატის დიქტატურას, მაგრამ უკან დასახევ ხვრელს მაინც იტოვებს: ის თანახმაა ამისი მხოლოთ მაშინ, როდესაც თვითონ ხალხი და არა მარტო ერთი კლასი, იქნება ამისი მომხრე თუ მის ნებაოყფლობით დაუჭერს მხარს ამ კლასის გარეშე მდგომი ხალხი, ერთი სიტყვით, თუ ის იქნება ნაკურთხი, ე. წ. „საერთოდ დემოკრატიის“ მიერ.

და ეს რომ ასეა, ამას თვით მენშევიკები არა მალავენ.

ალ. ჟორჟოლიანი გაზ. „ერთობის“ № 291, 1919 წ. სწერდა: „ის (ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურა) შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც მუშათა კლასის იდეალი—წარმოების განსაზოგადოებრიობა თანდათან პოპულიარობას მოიპოვებს საზოგადოების უდიდეს ნაწილში, როდესაც თვით წვრილი მესაკუთრე დარწმუნდება ცხოვრების მაგალითით კოლექტიურ წარმოების მაღალ თვისებაში და ის პროლეტარიატის მოკავშირეთ გადაიქცევა“, ე. ი. როდესაც ხალხის დიდი უმრავლესობა წინააღმდეგ ერთი მუჭა უმცირესობისა მომხრე იქნება პროლეტარიატის დიქტატურის და საერთოდ სოციალისტური რევოლიუციის; აი მხოლოდ მაშინაა ნებადართული პროლეტარიატის დიქტატურა.

ამავე აზრისაა ჩვენი დევდარიანიც რომელიც სწერდა, რომ „ის (ე. ი. პარიზის კომუნა 1871 წ. კ. კ.) იყო ხალხის ნების ამსრულებელი. მის მხარეზე იდგა არა მარტო მუშათა კლასი, წვრილი ბურჟუაზიაც და სხვა უფრო მაღალი საფეხურის წრეები“. (იხ. „ერთობა“ № 53) ის პარიზის კომუნას იმის დასამტკიცებლათ იხსენიებდა, რომ დაემტკიცებია ის დებულება, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელია ისე, თუ მას მხარს არ უჭერენ „წვრილი ბურჟუები და სხვა უფრო მაღალი საფეხურის წრეები“, მისი აზრათ სოციალისტური რევოლიუცია უნდა იყოს დიდი უმრავლესობის გალაშქრება ერთი მუჭა უმცირესობის წინააღმდეგ.

და ჩვენ სწორეთ იმიტომ „წავეპოტინეთ“ ყოფილ მარქსისტ-კაუცკის, რომ დაგვეპირდაპირებია მენშევიკების აზრისთვის ამ ყოფილი მარქსისტის აზრი, იმ კაუცკის, რომელიც დღეს საქართველოშია, და რომლითაც ასე ამაყობენ ჩვენი მენშევიკები, და დაგვერწმუნებია [illegible]

დევდარიანს ვერ ეპიტნავა ეს და აშკარათ დაუმალა მკითხველს კაუცკის ამონაწერიდან უმთავრესი აზრი, რომლისთვისაც ჩვენ ჩვენს წერილში ხაზი გვქონდა გასმული და გააცნო მკითხველს სრულიად ამბრუნდულათ. ციტატის ასეთი დამახინჯება მის მიერ პირველი არაა (იხ. თუნდაც „საქ. კომ.“ № 23) ის ძალიან დაჩვეულია ამას. კაუცკი აშკარათ და ნათლათ ამბობდა, რომ „რევოლიუციონურ წრეებს, მაშასადამე, საქმე ექნებათ უკვე არა მარტო ერთ მთავრობასთან, არამედ მყვლეფელების უზარმაზარ ორგანიზაციებთან, და ეს რევოლიუციონური წრეები არ არიან, როგორც წინანდელ რევოლიუციების დროს იყო, ხალხის დიდი უმეტესობის წარმომადგენლები, ერთი მუჭა მყვლეფელების წინააღმდეგ,—ისინი არსებითად ახლა წარმომადგენლები არიან მხოლოდ ერთი კლასის, სახელდობრ, პროლეტარიატის, რომლის წინააღმდეგ არიან არა მარტო მყვლეფელების კლასები, არამედ წვრილი ბურჟუების და გლეხების უმრავლესობაც და ინტელიგენციის დიდი ნაწილი“. (იხ. „Соц. пер.“ გვ. 70—71, ხაზგასმული ჩვენია—კ. კ.)

აი ეს ჩვენ მიერ ხაზგასმული თავი და თავი აზრი კაუცკისა ბ. დევდარიანმა დაუმალა მკითხველებს.

ხოლო თუ როგორ ეგუება კაუცკის ეს აზრი მენშევიკებისას: პროლეტარიატის დიქტატურა განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხის დიდი უმრავლესობა იქნება მისი მომხრეო, ამის გამოცნობა თვით მკითხველებისათვის მიგვინდვია.

რომ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურის, პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობის დაწესება იქაც და მაშინაც კი, სადაც და როდესაც პროლეტარიატი უმცირესობას შეადგენს, ამაზე ჩვენი მასწავლებელი ფრ. ენგელსი ასეთ ნათელ აზრებს გამოსთქვამდა.

ის სწერდა: რევოლიუცია „დააწესებს პროლეტარიატის პოლიტიკურ ბატონობას... საფრანგეთში და გერმანიაში, სადაც ხალხის უმრავლესობა შესდგება არა მარტო პროლეტარებისაგან, არამედ წვრილი გლეხებისა და ბურჟუებისაგანაც, რომლებიც მხოლოდ-ღა იწყებენ პროლეტარიატის შემადგენლობაში გადასვლას... შეიძლება ეს დაჯდეს მეორე შეტაკებათ, მაგრამ ისიც უნდა დათავდეს პროლეტარიატის გამარჯვებით“. (იხ. ენგელსის: „კომუნიზმის პრინციპები“, გვ. 22).

ასე უყურებდა ამ კითხვას ფრ. ენგელსი, ასე უყურებდენ მას ყველა რევოლიუციონერი-მარქსისტები. მხოლოდ ასე არ უყურებდენ წვრილ-ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებსაც ყოველგან უმცირესობის ბატონობა და უხეში ძალდატანება ელანდებათ.

კ. კომუნაძე.

(დასასრული იქნება)

რაში გამოიხატებოდა აქამდის სახელმწიფოს დამახასიათებელი განსაკუთრებული თვისება? შრომის უბრალო დაყოფით საზოგადოებამ შექმნა თავისთვის განსაკუთრებული ორგანოები თავის ინტერესების დასაცავათ. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ორგანოები და მათ შორის პირველათ—სახელმწიფოებრივი ხელის უფლება—ემსახურებოდენ რა თავისსავე კერძო ინტერესებს, გადიქცა საზოგადოების მოსამსახურის მაგიერ საზოგადოებისვე მბრძანებლებათ. ასეთ მოვლენას აქვს ადგილი არა მარტო მემკვიდრეობითი მონარქიაში, არამედ დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც.

ფრ. ენგელსი.

## ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი

დღს მიწას მიაბარებენ მხცოვან დიდებულ არტისტს ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილს, რომელიც გარდაიცვალა 23 ნოემბერს ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე გულის სიდამბლით.

ვინც კი იცის თეატრის როლის მნიშვნელობა ხალხის სულიერათ ამაღლებისათვის, მას არ შეუძლია დიდ დანაკლისათ არ ჩასთვალოს ქართველი ხელოვნებისათვის ისეთი დიდი არტისტის დაკარგვა, როგორიც იყო ალექსი-მესხიშვილი.

მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული თეატრის აღორძინების საქმეში და წინ წაწევაში. მას თავის სულიერი განცდით და გრძნობების გამოხატვით სცენაზე ამოყავდა მსმენელები იმ მეწვრილმანურ მეშჩანურ ჭუჭყიდან, რომელშიაც იყვენ ისინი ჩავარდნილი.

მაგრამ ყველამ იცის არტისტების ბედი თანამედროვე უკულმართ წყობილებაში, თუ როგორ შებორკილია მათი ნიჭი და უნარი უსახსარობის გამო. ეს დიდებული მსახიობიც სხვა და სხვა კუთხეებს აშურებდა, რომ დაკმაყოფილებული კუჭით კიდევ უფრო გაეფურჩქნა თავისი ნიჭი.

და დღეს კი, როდესაც აგერ აგერ საქართველოსაც მოანათებს თავისუფალი მზის სხივები, რომლებიც ნამდვილ თავისუფალ ასპარეზს გადაუშლის ხელოვნებასაც, აბარებენ საფლავს ამ მხცოვან ხელოვანს.

დიდი დანაკლისია ეს ხელოვნებისათვის და კიდევ უფრო დიდი ნაკლია ქართველი საზოგადოებისთვის, რომელსაც გაახსენდება დიდი პიროვნება მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ.

ძ. ძ.

# ბიულეტენი პრესბიუროსი
## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.
(რადიოთი მოსკოვიდან, ხარკოვიდან, ლონდონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკასიიდან და ბაქოდან)

# საბჭოთა რუსეთში

**სევასტოპოლი აღებულია—წითელი ლაშქარი დონის ქვანახშირის მადნეულობისაკენ.**

**მოსკოვი, 26 ნოემბ.** [illegible] მოწინავე სტატიაში: „სევასტოპოლი აღებულია—ყველა დონის ქვანახშირის მადნეულობისაკენ"—სწერს, რომ წითელი არმიამ ბრწყინვალედ გაათავა მხედრული კონტრრევოლიუციისა. სევასტოპოლის აღება ეს იმდენი ფაქტია, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ბრძოლაში ფრანგის კაპიტალთან. სევასტოპოლის აღებით ამბავი ელვასავით მოეფინა მთელ ქვეყანას.

ამ ამბავმა ზოგის გული სიხარულით აავსო, ზოგის მხრივ კი გამოიწვია კბილთა ღრჭენა. საფრანგეთის ბირჟა, რომელმაც ბოლშევიკების საწინააღმდეგო ბრძოლისათვის ვრანგელი გამოუშვა, ფრიად დამარცხებულია. მშრომელ ხალხს ისევ მიეცა საშუალება ხელი მოკიდოს ჩაქუჩს, რომლითაც ახალი ქვეყანა ააშენოს და აღადგინოს თავისი დანგრეული მეურნეობა. ჩვენი წარმოების აღდგენის საქმე ბევრათ არის დამოკიდებული დონის ქვა ნახშირის ოლქზე, სადაც ჩაწყობილია მილიარდი ფუთი შავის მინერალის ნახშირი და ანტრაციტი.

ამ შავს მინერალზეა დამოკიდებული მომავალი კაკომბრიობის ბედნიერების საქმე. ეს ბედნიერება უნდა მოვიპოვოთ წერაქვით ხელში.

კონტრ-რევოლიუციის ძალები გასრესილია. ჩვენ უნდა შემოვინახოთ სამხედრო ძალები, გავაძლიეროთ მისი სამხედრო თეიხებები ჩვენი სამეურნეო სამუშაოსთვის.

მთავარი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული შრომის ფრონტზე, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს დონის ქვა-ნახშირის ოლქს. იქ უნდა იქნას გადაზიდული მთელი თავისუფალი ძალები. სევასტოპოლი აღებულია—ყველა დონის ქვა-ნახშირის მადნებისაკენ.

ელექტრული სადგურების სიდიდე სხვა და სხვა გვარია, მაგრამ მათი საერთო მოცულობა 12 სართულიან სახლის მოცულობას უდრება.

საერთოდ მდ. სვირი მისცემს პეტერბურგს 750,000 კილოვატ საათ წელიწადში, ვოლხოვის—250 კილოვატს, ე. ი. სულ 1 მილიარდ კილოვატ საათს.

მეორე ამოცანაა—გადააკეთონ მდინარე სვირი ისეთ მდინარედ, საიდაც შეიძლებოდეს ნავოსნობა.

სვირი შედის წყლის გზების საერთო რიცხვში, რომელიც დაეხმარება ჩრდილოეთის მთავარ ცენტრს პეტერბურგს. სვირი არის მარინის სისტემის მთავარი ნაწილი, რომელიც აერთიანებს ვოლგის მასებს პეტერბურგთან და ბალტიის ზღვასთან. ის აერთებს ონეგის ტბას—ლადოგის ტბით და ნევით ბალტიის ზღვასთან. მაშასადამე სვირი ის გზაა, რომელიც აერთებს ბალტიის და თეთრ ზღვას და გასავალს იძლევა ოკეანისაკენ.

მთავარი მუშაობა დაიწყო ორ ადგილას 90 და 134 ვერსზე. ძალიან სისწრაფით მიდის მუშაობა მდ. სვირის ორივე ნაპირზე. აქ სვირის მარჯვენა ნაპირზე აღმართულია „ესტოკადა", რომლის სიმაღლეა 17 საჟენი, სიგრძე კი 150 საჟენი. ამ მაღლობზე მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობას დროებითი საელექტრონო სადგური 600 ცხენის ძალით.

მდინარის მეორე ნაპირიდან ტყისკენ მიდის ვიწრო ლიანდაგიანი გზა, რომელიც დაეხმარება მუშებს ქოხების აშენებაში. აწყობენ საერთო-საცხოვრებელ სახლებს, სასადილოებს, მარანს, მაღაზიებს და სხვ.

ამ ტყეში მუშათა პატარა ქალაქებს იმ მოსაზრებით აშენებენ, რომ ამ ადგილებში მუშაობა გაზეთების შემდეგ ეს ადგილები გამოყენებული იქნება სახელმწიფოს სოციალური საჭიროებისათვის. მუშათა ქალაქი და ბაღები უნდა გაშენდეს, გეგმის გამომუშავების თანახმათ იმ ადგილზე, რომელსაც ეძახიან კენა-რუჩეის.

**ჩრდილოეთ დვინის უნივერსიტეტი.**

**მოსკოვი. 15 ნოემბ.** ჩრდილოეთში ქ. ველიკი უსტიუგში ჩრდილოეთ დვინის გუბერნიაში გაიხსნა სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც უწოდებენ „ჩრდილოეთ დვინის უნივერსიტეტს".

**მართალია.**

**სარატოვი, 26 ნოემბ.** კრიგოლცსიეს სოფლის გლეხებმა დაადგინეს საერთო კრებაზე, რომ ვინც პურს დამალავს, იმათ ჩამოერთვას მთელი ქონება და გაძევებულ იქნას სოფლიდან.

**ახალი უნივერსიტეტი.**

**სარატოვი, 26 ნოემბ.** ბალაშოვში გაიხსნა ახალი მუშათა უნივერსიტეტი.

**სასურსათო კამპანია.**

**სარატოვი, 26 ნოემბ.** პურის დამზადების კამპანიის დღიდან 20 ნოემბრამდის სარატოვის გუბერნიაში მოამზადეს 5.080,362 ფუთი პური.

**კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.**

**მოსკოვი, 15 ნოემბ.** ყირგიზეთმა თავის ავტონომიურ არსებობის ერთი წლის განმავლობაში მარტო თურგაის, ურალსკის, და ბუკეევის ოლქებში დაარსა 12000 პირველი ტიპის სასწავლებელი და 50 მეორე ტიპის. მას უკვე ჰყავს 80000 მოსწავლე და 3000 სკოლის მუშები. მარტო თურგაის ოლქში ქუსთანაის მაზრის გამოკლებით, დაარსებულია: 65 წიგნთსაცავი, 86 სამკითხველო ქოხი, 5 სახალხო სახლი, 7 კლუბი, 14 თეატრი, 24 სკოლა მოზრდილთათვის 2 კინო-თეატრი, არის აგრეთვე სკოლის გარეშე კურსები.

ბავშვების დაცვის საქმეში გაკეთებულია შემდეგი: დაარსებულია 20 სახლი 800 ბავშვისათვის.

**ს. კ. ს. დადგენილება.**

**მოსკოვი, 15 ნოემბ.** სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაარსოს ვოტიაკელების და კალმიკელების ავტონომიური ოლქები.

საზღვრების დაარსება და ავტონომიურ ოლქების დებულებების გამომუშავება დაევალა განსაკუთრებულ კომისიას.

**საზოგადოებრივი ჯანმრთელობა.**

**მოსკოვი, 15 ნოემბ.** ახლა მოქალაქების საავათმყოფოები მიუხედავათ მძიმე შრომისა, გაიზარდა 30 პროც. ომამდის რიცხვთან შედარებით; ეპიდემიასთან საბრძოლველი დაწესებულებები მარტო წელს 100,000 დაარსდა.

**მოსკოვი—ირკუტსკი.**

**პეტერბურგი, 20 ნოემ.** ამ დღეებში დაიწყება ჩქარი მატარებლების მიმოსვლა მოსკოვსა და ირკუტსკს შუა. მატარებლები წავლენ ჩრდილოეთის რკინის გზით, გაივლიან შემდეგ ქალაქებში: მოსკოვში, ვიატკაში, პერმში, ეკატერინობურგში, ტიუმენში, ომსკში და ირკუტსკში.

**მანუფაქტურა მუშებისათვის.**

**კავკასი, 20 ნოემ.** ეკატერინოდარის მუშებისათვის მიღებულია 150 ათასი არშინი მანუფაქტურა, ყუბანის და შავიზღვის ნაპირების მუშებისათვის 300 ათასი არშინი.

**გიდროელექტრონის სადგურის აგება სვირზე.**

**მოსკოვი, 20 ნოემ.** მომარაგების მთავარ კომიტეტის პროექტის თანახმად, მდ. სვირზე აგებენ სამ გიდროელექტრონის სადგურს. პირველი სადგური პეტერბურგიდან მე-16 ვერსზე, მოგვცემს 30.000 ცხენის ძალას და მისი დანიშნულება არის ადგილობრივ მრეწველობის დაკმაყოფილება.

მეორე სადგური,—90 ვერსზე მოგვცემს 110000 ცხენის ძალას. მესამე სადგური,—134 ვერსზე მოგვცემს 150000 ცხენის ძალას. მდ. სვირის სადგურები თავის სიძლიერით იქნებიან პირველი მთელს ევროპაში.

მდ. ვოლხოვის გიდრო ელექტრიული სადგური მოგვცემს 80000 ცხენის ძალას.

გიდრო-ელექტრონის სადგურები თავისი სიდიდით იქნებიან უზარმაზარი.

სვირის საშუალო სადგური იქნება სიგრძით 225 მეტრი, სიგანე 38 მეტრი, სიმაღლე იქნება 70 მეტრი.

**„შუა გზა აღარ არსებობს".**

**მოსკოვი, 26 ნოემბერი.** „პრავდა" ერთ-ერთ წერილში—„შუა გზა აღარ არსებობს", სწერს, რომ ესერების მოღვაწეები „ნაროდნოე დელოს" ფურცლებზე საინტერესო აღსარებას ათავსებენ. სამოქალაქო ომში ის მხარე დამარცხებსო, ამბობენ ისინი, რომლის მხარეზეა მასების უმრავლესობაო. ის მხარე, რომელიც მოკლებულია მასების მიმხრობის უნარს, მხოლოდ დროებით თუ შეძლებს გამარჯვებას.

სამი წელიწადია საბჭოთა მთავრობა ზედი-ზედ იმარჯვებს. ცხადია, რომ ჩვენს მხარეზეა ხალხის უმრავლესობა. ესერებს არ სურთ ამ ფაქტს შეურიგდენ. ისინი სარგებლობენ ქვეყნის ეკონომიური დაცემით: დიდ იმედებს ამყარებენ ქვეყნის დამშევაზე: სიმშილის გამხმარი ხელები გამოჰგლეჯავს მუშების და გლეხების მაგარ მოპოებულ თავისუფლებას, ოცნებობენ ისინი. ამავე დროს ქებათა-ქებას აძლევენ „განათლებულ" სახელმწიფოების დემოკრატიზმის მიმართ. და ამას სჩადიან იმ დროს, როდესაც მებრძოლი მხარეები თვალსაჩინოთ შორდებიან ერთმანეთს და აწარმოებენ უშუალო ბრძოლას, ,ფეხ-ქვეშ თელავენ ან გვერდზე ჰყრიან რაც ან ვინც შუაში ეჩრებათ. ქვევით ამ წერილში აღნიშნულია, რომ სადაც მუშათა კლასი დამარცხდა, იქ ღვივდება და ვითარდება რეაქცია აშკარა მონარქიული ტენდენციებით.

ევროპის ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ კრახი იგემა. აწ მძლავრი კლასიური ბრძოლა სწარმოებს: ერთ მხარეზე ჩვენ ვხედავთ დაჩაგრულ მუშებს და გლეხებს, მეორე მხარეზე—მყვლეფელებს, მეფაბრიკეებს და მემამულეებს. დანარჩენებს ყველას ცხოვრება აძევებს, ზედმეტათ ხდის.

ჩვენი ძალები იზრდება. თითქმის კიპროსის კუნძულზედაც—კი მოეწყო კომუნისტური პარტია.

კომუნამ ხელიდან გაუშვა ეკონომიურ ურთიერთობის დარგიდან ბევრი ისეთი რამ, რისი გაკეთებაც ჩვენი დღევანდელი შეგნებით აუცილებლათ უნდა გაკეთებულიყო. ყველაზე უფრო გაუგებარია ეხლა ის, რომ კომუნა ასეთი მოწიწებით ეპყრობოდა საფრანგეთის ბანკს. ეს იყო პოლიტიკური დიდი შეცდომა. [illegible] ხელში რომ ბანკი ყოფილიყო ამას [illegible], ვიდრე 10 ათას მძევალს.

ფრ. ენგელსი.

# ფრიდრიხ ენგელსი
## 1820 — 1920

კარლ მარქსის დიდი თანამოღვაწე, მეცნიერული კომუნიზმის ერთი შემომქმედთაგანი—ფრიდრიხ ენგელსი ბურჟუაზიულ წრიდან იყო გამოსული. ის დაიბადა ბარმენში (რეინის პროვინცია გერმანიაში) 1820 წლის 28 ნოემბერს მდიდარ მეფაბრიკის ოჯახში. 1 წლით ადრე, ვიდრე ის ბრემენის რეალურ სასწავლებელში სიმწიფის მოწმობის გამოცდას მისცემდა, კომერციულ საქმიანობას შეუდგა. 1841 წ. ბერლინის გვარდიის არტილერიის სამსახურში შევიდა, სადაც მან ერთი წელიწადი იმსახურა. აქ მან პირველი გაკვეთილები და ელემენტარული ცოდნა მიიღო სამხედრო მეცნიერებიდან, რომლებითაც ის მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში დაინტერესებული იყო. 1842 წელს ენგელსი გაემგზავრა ინგლისს, ქ. მანჩესტერს, სადაც 1844 წლის სექტემბრამდე მუშაობდა ერთ საფაბრიკო დაწესებულებაში, რომლის მონაწილეთ ითვლებოდა მისი მამა. ამ ორ წელიწადში მეტათ ვრცლათ გაიშალა მისი გონებრივი ჰორიზონტი. აქ, კაპიტალიზმის აკვნის ქვეყანაში, სადაც კაპიტალსა და პროლეტარიატს შორის კლასობრივი წინააღმდეგობა უფრო ნათლად გამოსჭვიოდა, ვიდრე სხვაგან სადმე, კლასიური ბრძოლის დუღილი უკვე იწყებოდა. ენგელსი აქ რობერტ ოუენისეულ აღძრულ სოციალისტურ მოძრაობას გზიარა და ოუენისტების ჟურნალის თანამშრომელი გახდა; ხოლო მეორე მხრით მან ინგლისის მუშათა მოძრაობაში მონაწილეობა მიიღო, იმ მოძრაობაში, რომელიც ცნობილია ისტორიაში ჩარტიზმის სახელით. ის მაინც მალე დარწმუნდა, რომ ოუენისებური სოციალიზმი უტოპიური სწავლაა; ხოლო ჩარტისტული მუშათა მოძრაობა არის ნამდვილი სოციალისტური და რევოლიუციონური ფორმა მუშათა მოძრაობისა.

ენგელსი მთელი თავისი ენერგიით და ცოდნა პოლიტიკურ ეკონომიის შესწავლას საზოგადოთ და ინგლისელ ეკონომისტებისას კერძოთ. თეორეტიულ ნაკვლევ ნაშრომის დასკვნებს იგი ამოწმებდა ინგლისის მრეწველობის პრაქტიკასთან და პრაქტიკიდან გამოტანილ თავის მდიდარ დაკვირვებას იგი თეორიათ ამუშავებდა.

და აი ამ დაკვირვება-კვლევამ და თეორეტიულმა აზროვნებამ მიიყვანა იგი ისტორიის მატერიალისტურათ გაგების ფორმულის შექმნამდე, სანამდიც იმავე დროს მისგან დამოუკიდებლათ კარლ-მარქსიც მივიდა, რომელსაც ენგელსი გაახლოვებით თითქმის არც კი იცნობდა. ინგლისურმა კაპიტალიზმმა ენგელსს დაანახვა, რომ ეკონომიური ფაქტორები ძირითადი, გადამწყვეტი ძალებია კაპიტალისტურ წყობილებაში, რომ ისინი განსაზღვრავენ კლასობრივ აგებულებას, ანატომიის და ფიზიოლოგიის საზოგადოებისას, მის პოლიტიკურ ბრძოლას და მთელ მის სულიერ ცხოვრებას, რომ ისინი წარმოადგენენ იმ ბაზისს, რომელზედაც აღმართულია მთელი იდეოლოგიური ზედნაშენი. როცა 1844 წ. შემოდგომაზე მარქსი და ენგელსი ერთმანეთს შეხვდენ პარიზში, მათთვის ცხადი შეიქნა, რომ ისინი ძირითად თეორეტიულ საკითხებში ერთნაირათ აზროვნებენ: ეკონომიური ფაქტორი არის ძირითადი და გადამწყვეტი; შეგნება განისაზღვრება ყოფა-მდგომარეობით, კაცობრიობის ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია. მუშათა კლასის დიდებული იდეოლოგები ერთ-მეორეს შეხვდენ, კაუცკის თქმით, „რევოლიუციისა და სოციალიზმის" სფეროში და ერთმეორეს მისცეს ხელი და ამ დღიდან მოყოლებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეს მოაზროვნენი განუყრელნი, ეს ისტორიული გმირები [illegible] ჩვეულებრივ ნაკლებული მიდიოდენ. შეაერთეს რა თავიანთი აზროვნების მძლეთა-მძლეობა ერთ მძლავრ მდელვარე ტალღა-ნაკადით, რომ პროლეტარიატის რევოლიუციის ალგებრა შეედგინათ.

ენგელსი პირველი ლიტერატურული მსხვილი შრომა—„პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკული ნარკვევები"—გამოქვეყნდა 1844 წელს „ჩეშეცურ-ფრანგულ წლიურებში", რომელსაც ცემდენ მარქსი და რუგე. ამ ნაწარმოებში ენგელსმა პირველათ მოუყარა თავი თავისი ნააზრევის და კაპიტალისტურ წარმოების განვითარებული ფორმის მის მიერ შესწავლის შედეგებს. მარქსმა ამ ღრმა შინაარსიან სტატიას „გენიალური ესკიზი" უწოდა. აქ ის პირველათ მიუდგა და მიუახლოვდა მეცნიერული სოციალიზმის საფუძვლებს და გააკეთა ცდა, რომ ეკონომიური საფუძველი ჩაეყარა იმ თეორიისთვის, რომელიც შემდეგში ცნობილ იქნა „მარქსიზმის" სახელწოდებით. ახალგაზდა მეცნიერი—ვაჟკაცი, რომელსაც ჯერ კიდევ 24 წელიწადი არ შესრულებოდა, მძიმე საყვედურით იხსენებდა თავის ნარკვევში ვაჭრობას, რომელსაც იგი „ლეგალურ სიცრუეს" უწოდებდა, ხოლო პოლიტიკურ ეკონომიას განმარტავდა, როგორც ამ სიცრუის გაუმჯობესებულ სისტემას, როგორც მეცნიერებას ვაჭრების ურთიერთსადმი ქიშპობისა, შურიანობისა და სიხარბის წიაღიდან წარმოშობილს მათდა გასამდიდრებლად, რასაც ატყვია ბეჭედი სისაძაგლის და გულის ამრევი თვითმოყვარეობისა. აკრიტიკებს რა მერკანტილიზმს და თავისუფალ ვაჭრობის სისტემას, ენგელსი ამ უკანასკნელში მაინც ხედავს ნაბიჯის წინ გადადგმას: მონოპოლიები და ვაჭრობის და წარმოების შეზღუდვები უნდა დაემხოს, ყველა წერილმანი, ადგილობრივი და ნაციონალური მოსაზრებანი უნდა თავიდან აცილებულ იქნას, რათა ხალხთა ეკონომიურ მდგომარეობა შეთანასწორდეს და ამ მხრით მის წინააღმდეგ ბრძოლა საერთო საპროტესტო გახდეს. ვაჭრობის თავისუფლების მეოხებით განვითარდა და უმაღლეს წერტილს მიაღწია კერძო საკუთრებამ ყველა თავისი შედეგებით; ხოლო შემდეგმა მისმა განვითარებამ საქმე კერძო საკუთრების მოსპობამდე უნდა მიიყვანოს.[1] ის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს პოლიტიკური ეკონომიის ყველა ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს, როგორიც არიან: „ვაჭრობა, ღირებულება", „ფასი", „კაპიტალი", „მიწის რენტა", „შრომა", „კონკურენცია", „მონოპოლია" და ცდილობს გამოააშკარაოს წინააღმდეგობა თავისუფალი ვაჭრობის სისტემაში გატარებული და ამ წინააღმდეგობას ორივე მხრის ლოღიკური შედეგები", ე. ი. პოლიტიკური ეკონომიის ყველა საფუძვლებს ახლა უდგება და დიალექტიკის მკვეთრ ანალიზს უკეთებს. შემდეგში ენგელსმა, რა თქმა უნდა, შესამჩნევათ შეიცვალა თავისი პირვანდელი პოლიტიკო ეკონომიური შეხედულებანი, რომლებიც მან პირველათ გამოსთქვა თავის შესანიშნავ მარქსისტულ" შრომაში.

შემდეგ წელს იმავე „წლიურებში" კიდევ გამოქვეყნდა მეორე სტატია, რომელიც შეეხებოდა კარლეილის ერთ პამფლეტს. ამ სტატიაში ის ჰკიცხავს და შოლტავს „ინგლისის განათლებულ საზოგადოებას და ინგლისის ხსნას მუშათა კლასის მოძრაობაში ხედავს, რომელსაც ხელმძღვანელობენ ინგლისის სოციალისტები, რომელთაც მიუხედავათ მათი სისუსტისა და თეორეტიული სიმსუბუქისა მომავალი ეკუთვნისთ.

1845 წელს გამოიცა ენგელსის წიგნი „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში".

ამ წიგნს მიეცა უდიდესი მნიშვნელობა, ვინაიდან ის იყო პირველი უდიდესი შრომა, რომელიც სისტემატიურათ ასაბუთებდა მეცნიერულ სოციალიზმს. წიგნის არსებითი მხარე—ამბობს ფ. მერინგი—მდგომარეობდა იმის ცდაში, რომ ეჩვენებია, თუ როგორ აჩენს და ჰქმნის მუშათა კლასს მსხვილი მრეწველობა—და თუ როგორ ვითარდება ეს მუშათა კლასი და უნდა განვითარდეს კიდეც მისთვის, რომ ისტორიული დიალექტიკის ძალით დაამხოს თავისი შემქმნელი. ამ წიგნში კიდევ არის ზოგი უსწორო ხაზი და დასრულებული მარქსისტისათვის შეუფერებელი კილო-ჰანგი; მაგრამ ეს წიგნი მაინც, როგორც ძირითადი თვალსაზრისის მიხედვით, ისე მასალის დალაგების მეთოდითაც მეცნიერული სოციალიზმის პირველი წიგნი იყო. ენგელსმა ულრმესათ გაიგო კაპიტალისტური წარმოების ბუნებაო, სწერდა მარქსი ენგელის წიგნზე.

პარიზიდან მარქსის გაძევების შემდეგ მეგობრები ისევ შახვდენ ერთი მეორეს ბრიუსელში და შეუდგენ ერთათ მუშაობას, რომ შეემუშავებიათ თავიანთი სისტემა. მათ ერთათ დაწერეს პამფლეტი: „წმინდა ოჯახი, ანუ კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა", რომელიც მიმართული იყო ბრუნო ბაუერის და კამპ. წინააღმდეგ. ეს წიგნი შინაარსით უმეტესათ ფილოსოფიურ-ისტორიულია. დიალექტიური მატერიალიზმის ახალი ფილოსოფიის თვალსაზრისი ეჯახება აქ იდეალისტურ თვალსაზრისს, რომლის უკანასკნელ მომხრეებათ გერმანიაში ითვლებოდენ ძმები ბაუერები.

იმ ხანებში მარქსსა და ენგელსს იწვევენ „მართალთა კავშირში", რომელიც მალე გადააკეთეს „კომუნისტთა კავშირი".

1845—1847 წლ. პერიოდში მეგობრებმა საერთო შრომით შეთხზეს და დაწერეს წიგნი, რომელიც აკრიტიკებდა ფილოსოფოს—გეგელიანელს, ფეიერბახს და მთელ ფილოსოფიურ პოლიტიკურ შკოლას რადიკალურის ანუ კომუნისტურ ელფერისას, რომელიც კი ფეიერბახის სისტემიდან გამოდიოდა. მაგრამ ეს ვრცელი შრომა არ დაბეჭდილა და ენგელსის თქმით მიენდო თაგვების მღრღნელ კრიტიკას. შემდეგი საერთო შრომა მარქსისა და ენგელსის იყო შესანიშნავი, ყოველი ქვეყნის შეგნებული მუშისათვის ცნობილი „კომუნისტური

ხშირათ არაჩვეულებრივ გაბედულ ნაბიჯათ თვლიან მემკვიდრეობითი მონარქიის რწმენაზე ხელის აღებას და თავის პროგრამაში დემოკრატიულ რესპუბლიკის მიღებას. ნამდვილათ კი სახელმწიფო სხვა არ არის რა, თუ არა დასაჩაგრავი იარაღი ერთი კლასისა მეორე კლასის მიერ; ეს არა ნაკლებ შეეხება დემოკრატიულ რესპუბლიკას, ვიდრე მონარქიას:

ფრ. ენგელსი.

# საზღვარ-გარეთ

**უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.**

**მოსკოვი**, 18 ნოემბ. ქალაქ კორკის ახალ ლორდ მერმა განაცხადა, რომ ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გაგრძელდება უკანასკნელ სისხლის წვეთამდისა.

**უკანასკნელი ცდა.**

**სტამბოლი**, 10 ნოემბ. საბერძნეთის გაზეთი „ნეოლოგოსი“ სტატიაში „უკანასკნელი ცდა“ სწერს:

„მთელი კითხვა ეხლა იმაშია, თუ როგორ მოხდეს შეთანხმება სტამბოლსა და ანგორას შორის. გაზ. „ელემდარი“ ამის შესახებ სწერს, რომ ამ კითხვის გადასაწყვეტათ ორი გზა არის. პირველია—ძალა, მეორე კი—ლოღიკა. შეიარაღებულ ძალით ამ კითხვის გადაჭრის ცდამ ვერ გამოიღო ნაყოფი და ამიტომ ახლა ზომების განმეორება არ არის გონიერი და არც სასურველი. არ არის სასურველი აგრეთვე ამ კითხვის გარეშე ძალების ჩარევით გადაწყვეტა. ამიტომ ოსმალეთისათვის ამ საარსებო კითხვის გადასაწყვეტათ არის მხოლოდ ერთი გზა—ლოღიკის გზით.“

**გაფიცვები რუმინიაში.**

**ბათუმი**, 24 ნოემბ. ბუქარესტიდან ათინაში იტყობინებიან, გაფიცვების შესახებ, რომელიც მოედო მთელ რუმინიას. დაპატიმრებულია რამოდენიმე სოციალისტი.

**სამხრეთ სლავიის კონსტიტუციის შესახებ.**

**სტამბოლი**, 10 ნოემბ. ბელგრადის მინისტრთა საბჭომ რეგენტის თავმჯდომარეობით გამოიმუშავა სამხრეთ სლავიის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნება ახალ პარლამენტში. პროექტის მიხედვით ადმინისტრაცია ცენტრალისტური იქნება. სერბიაზე ახლათ შემოერთებულ ოლქებს მიეცემა ავტონომია, მაგრამ მათ არ ექნებათ საკუთარი მთავრობები. პარლამენტი ორი პალატისაგან შესდგება: სენატი და სახალხო ყრილობა. სენატი ტეხნიკური პალატისებური იქნება. სენატორების ნახევარი რიცხვი არჩეული იქნება ხალხის მიერ. მეორე ნახევარს აირჩევს მეცნიერული და ეკონომიური საზოგადოებები.

**ჟელიგოვსკის „პოგრომშჩიკები.“**

**პარიჟი**, 1 ნოემბ. საზავო კონფერენციაზე მყოფი ებრაელების დელეგაციის კომიტეტი იტყობინება: „ვილნოში“ შესვლისას ჟელიგოვსკის ჯარის კაცებმა მცხოვრებთა დარბევა მოახდინეს, რაც გაგრძელდა 36 საათი. დარბევა დაიწყეს 9 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე—დათავდა 11 ოქტომბერს დილის 9 საათზე.

# რევოლიუციის ფრონტებზე

**მღელვარება იტალიაში.**

**მოსკოვი**, 25 ნოემ. ბოლონში, მუნიციპალურ საბჭოს პირველ სხდომის გამო მოხდა ბრძოლები ქუჩაში. მუნიციპალურ საბჭოს წევრები ფანჯრებიდან ესროდნენ ყუმბარებს „პოგრომჩიკებს.“ ბრძოლის შემდეგ იქნა 8 მოკლული და 60 მძიმეთ დაჭრილი. მესინის მუშებმა გამოაცხადეს 24 საათის გაფიცვა, როგორც პროტესტი „ფაშისტების“ (იტალიელი შავრაზმელები) უკანონო მოქმედების წინააღმდეგ.

სოციალისტურ სექციის ყრილობაზე ნეაპოლში, პარტიულ ორიენტაციის საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. სკიავონეს წინადადებით დადგენილ იქნა შეუერთდენ სერატის ჯგუფს.

**ოპერატიული რადიო-ცნობა რესპუბლიკის საველე შტაბის რევოენსოვეტისა.**

**სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.**

**მოსკოვი**, 27 ნოემ. მოზირის რაიონში ჩვენი ცხენოსანი ჯარი განაგრძნობს დევნას ბალახოვიჩის დარჩენილ ნაწილებისას.

პრიპიატის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მცირე ბრძოლის შემდეგ გაფანტეს ბალახოვიჩის რაზმი ტუროვის სამხრეთ-აღმოსავლეთით და განაგრძობენ შეტევას; 8 წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელთ ვიგდეთ დავლა და სხ.

დამატებითი ცნობების თანახმად ელსკის დასავლეთით 40 ვერსზე ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 73 ტყვე, ერთი ზარბაზანი და სხვა აუარებელი დავლა.

რესპუბლიკის საველე შტაბის რევოენსოვეტის ვაენკომი დანიშევსკი.

**ბრძოლა ინგლისის ბატონობასთან.**

**ბაქო**, 26 ნოემ. ბრძოლა ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ინდოეთში მწვავე ხასიათს ღებულობს. გაფიცვები თანდათან იზრდება. ხშირად ხდება ბრძოლები მუშებსა და პოლიციელებს შორის. კალკუტაში გაფიცულებს შეუერთდა ბუჯის ნავთის სამრეწველო მუშები რიცხვით 4000 კაცი. მთავრობის ცდამ, ეწარმოებია მუშებთან მოლაპარაკება, უნაყოფოდ ჩაიარა.

კაპიტალისტებს შორის პანიკაა. მუშები იჩენენ სოლიდარობას. ინდოეთის ყველა მხარეებიდან მოდის შემოწირულება გაფიცულების დასახმარებლად.

# ბიბლიოგრაფია

**კ. მარქსი და ფრ. ენგელსი.** კომუნისტების ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.

გამოცემა „წითელი ვარსკვლავისა“ ქუთაისი, 1920 წ. ფასი 30 მან.

მარქსი და ენგელსი — ეს უდიდესი ბურჯებია საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა, რომელთა გენიოსური აზროვნება სამი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში უფრო მეტი და მეტი სხივოსნობით და ელვარებით გზას უნათებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს. საუბედუროთ, მათი უკვდავი ქმნილებანი თითქმის ხელმიუწვდენელია ქართველი მკითხველებისათვის. მმართველი პარტია, რომელიც ამაოთ იფიცავს ამ ორი შეუდარებელი მოაზრის და რევოლიუციონერის სპეტაკ სახელს, სრულიათ არ იტკივებს თავს მათი ნაწერების გადმოქართულებაზე. თავისი ბატონობის განმავლობაში მათ ერითი პწკარიც არ მიუწოდებიათ ქართველი მკითხველისათვის მარქს-ენგელსის თხზულებებიდან. და არც გაემტყუნებათ. ამ ნაწერების ყოველი ასო მიმართულია საქართველოს მესვეურთა წინააღმდეგ.

მით უფრო სასიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს მარქსის და ენგელსის იმ ერთი შესანიშნავი დოკუმენტის გამოცემა, რომლის სათაური ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. ეს მიმართვაა კომუნისტების კავშირისადმი მისი ცენტრალური კომიტეტის მხრით. ამავე ორგანიზაციის დავალებით მარქსმა და ენგელსმა დასწერეს შესანიშნავი „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“, რომელშიაც შეუდარებელი სიმარტივით ჩამოაყალიბეს სამეცნიერო კომუნიზმის ძირითადი პრინციპები (არის ქართული თარგმანი „ინტერნაციონალის“ გამოცემა, თბილისი 1919 წ.). ხოლო ამ მიმართვაში მათ მომჯადოებელი სისწორით აღნიშნეს, თუ როგორი უნდა იყოს რევოლიუციონური პროლეტარიატის სამოქმედო გეზი, მისი ტაქტიკა. ეს წიგნაკი მით უფრო საყურადღებოა ქართველი მკითხველისათვის, რომ აქ მარქსი და ენგელსი ვრცლათ ეხებიან წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატებს, როგორიც არიან ჩვენი მენშევიკები და არკვევენ მათთან დამოკიდებულების საკითხს. მრავალი დებულება ისეთი ფორმით არის გამოთქმული, თითქო მარქსს და ენგელსს დღევანდელი ჩვენი მენშევიკები ყავდეთ სახეში. წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატების თვისება, რომლებიც სოციალისტურ სამოსელშიაც კი ეხვევიან, შესანიშნავათ ასწონ-დასწონეს მარქსმა და ენგელსმა ამ 70 წლის წინათ.

რაღა თქმა უნდა, რომ ქართველ მენშევიკებს არაფრათ ეპიტნავებოდათ, ასეთი მათი მამხილებელი დოკუმენტი თითონვე გამოეცათ. მათ მარქსის და ენგელსის მარტო სახელი შემოიტოვეს მასსის თვალის ასახვევათ. მით უფრო ხალისით მივაწოდებთ ჩვენ ამავე მასას მარქსის და ენგელსის ნამდვილ აზრებს და ვურჩევთ მას გულდასმით და ყურადღებით შეისწავლოს ეს პატარა წიგნაკი, რომელიც მიუხედავათ თავისი სიპატარავისა, აზრით შადრევანს წარმოადგენს.

წიგნაკი სამი თუმანი ღირს, რაც თანამედროვე პირობებში ძვირათ არ ჩაითვლება. იგი საუკეთესო საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის ფრ. ენგელსის დაბადების 100 წლის თავზე.

# დღიური.

**მოზირის რაიონში წითლები განაგრძობენ ბალახოვიჩის რაზმების ნაშთების დევნას.**

**უმუშევრობა გერმანიაში იზრდება. უმუშევართა რიცხვი აღწევს ნახევარ მილიონს**

**მთელს რუმინიას გაფიცვების ტალღები მოედო.**

**ირლანდიაში გრძელდება სისხლის მღვრელი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.**

**ინდოეთში რამდენიმე ოლქში საალყო წესებია გამოცხადებული, ვინაიდან რევოლიუციონურმა მოძრაობამ იჩინა თავი.**

# შეწრიალდენ

გაზეთ „ახ. კომუნისტი-“ს 103 №-ში დაიბეჭდა ამხ. ბარონის წერილი: „დაუდევრობა თუ ბოროტმოქმედება?“

ამ წერილში სანახევროდ ფარდა ეხდება ყველა იმ ბოროტმოქმედებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რკინის გზის სასურსათო კომიტეტში.

ახლა სარწმუნო წყაროდან გვატყობინებენ, რომ ყველა ისინი, რომელთაც რკინის გზის სასურსათო საწყობიდან საქონელი ბლომათ გაჰქონდათ ნისიათ, ხოლო იმათი სახელი და გვარი ამხ. ბარონის წერილში არ იყო გამოცხადებული, ერთი-მეორეს ეცილებიან რკინის გზის სასურსათო სალაროში ვალის შეტანას.

შეწრიალდენ.

[illegible]. ივეზი

---

პარტიის მანიფესტი“, რომელიც მათ დასწერეს „კომუნისტების კავშირის“ პირველი კონგრესის წინადადებით. „კავშირის“ ყრილობის ათი დღის კამათის შემდეგ 1847 წ. დეკემბერში „მანიფესტი“ მიღებულ იქნა საბოლოვოთ. უტოპიური სოციალიზმის ძველი დევიზის ნაცვლათ,—„ყველა ადამიანები ძმები არიან“, წამოყენებულ იქნა მებრძოლი, მგზნებარე მოწოდება—დაძაბილი პროლეტარულ სოციალიზმ— კომუნიზმის: პროლეტარებო! ყველა ქვეყნისა შეერთდით!

როცა 1848 წლის რევოლიუციის ხათმ დაჰბერა, მარქსი და ენგელსი მაშინვე გერმანიისაკენ გაეშურენ და თავიანთ ხელში აიღეს „ახალი რეინის გაზეთი“. რევოლიუციური დემოკრატიის ეს ორგანო, რომლის 1848—9 წლ. ისტორია არის ისტორია თანარედაქტორის ენგელსისა. გაზეთი დახურულ იქნა მაისში 1849 წ. რის შემდეგაც ენგელსი გაემგზავრა აჯანყებულ რაიონებში, სადაც ის გილიხის მოხალისე რაზმის ადიუტანტათ შევიდა; ხოლო ამ აჯანყების დამხობის შემდეგ ენგელსმა უკანასკნელმა დატოვა სამშობლო და შვეიცარიის გზით ლონდონს წავიდა. 1850 წ. მან მარქსთან ერთათ დაიწყო გაზეთის გამოცემა ახალი სახელით: „ახალი რეინის გაზეთის მიმოხილვა“, რომელშიც ენგელსმა წერილების მთელი რიგი მოათავსა ბადენოპფალცის აჯანყებაზე,—სტატია „ინგლისში 10 საათის სამუშაო..“ ღდის და სხვა.

როცა გამოირკვა, რომ რევოლიუცია გათავდა და ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე—სიწყნარე, ხოლო ლონდონის ემიგრანტებში ჩვეულებრივი აყალ-მაყალი დაიწყო, რასაც „კავშირი“ დარღვევა-დაშლისაკენ სწრაფათ მიჰყავდა, მარქსი და ენგელსი ხელახლავ ჩაუღრმავდნენ და ჩაუჯდნენ თეორეტიულ მუშაობას. ენგელსმა 1850 წლიდან „მიმოხილვის“ გამოცემის შეწყვეტის შემდეგ მანჩესტერში მამის ფაბრიკის კანტორაში დაიწყო სამსახური, სადაც ის 1869 წლამდე დარჩა და დაინტერესებული იყო ამ დროს განსაკუთრებით სამხედრო მეცნიერებით, გამოუშვა რა საქვეყნოთ სამი ბროშურა სამხედრო თემებზე და წერილი და იმავე დროს თანამშრომლობდა კიდეც ლონდონის ერთ გაზეთში და განაგრძობდა მარქსთან გაცხარებულ მიწერ-მოწერას მუშათა მოძრაობის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ.

როცა 1864 წელს ინტერნაციონალი დგებოდა, ენგელსმა ისევ პრაქტიკულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. 1869 წლიდან მთელი თავისი ძალღონე ერთავად ინტერნაციონალს შესწირა, გადასახლდა რა ლონდონში და მარქსთან ერთათ ის მუშათა ამ საერთაშორისო ამხანაგობის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი გახდა. ის ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს წევრი იყო და წევრი-კორესპონდენტიც ბელგიისა და ისპანიისა, ხოლო შემდეგში იტალიისა და ისპანიისა. ენგელსი ენერგიულ მონაწილეობას იღებდა მარქსისა და ბაკუნინის ინტერნაციონალ შორის ამტყარ ბრძოლაში—და მან ამაზე დასწერა ბროშიურა „ბაკუნინელები სამუშაოზე“. როცა პირველი ინტერნაციონალი დაიშალა, ენგელსმა პირველთაგანმა იწინასწარმეტყველა, მისი ხელახლავ აღორძინება, როგორც ახალი, მაღალი ფორმა დამყარებული ცალცალკე ქვეყნებში მუშათა მოძრაობის საფუძველზე.

1878 წ. ენგელსი ისევ გამოვიდა ახალი დიდი შრომით-—„ანტიდიურინგი“-თ, რომელიც პოლემიკურ ფორმაში ერთგვარ ჯამს წარმოადგენს მარქსისტულ ფილოსოფიისას, პოლიტიკურ-ეკონომიისას და სოციალიზმისას. ერთი თავი ამ წიგნის (მეათე) დაწერილია მარქსის მიერ. მარქსისტული მოძღვრება ყოველ მხრივ არის განმარტებული ამ წიგნში, განმარტებულია მწყობრად და ზედმიწევნით თანდათანობით. თუმცა თვით ენგელსი არ აძლევდა მაინცა და მაინც განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ამ შრომას, მაგრამ დღემდე ამ წიგნს გულდასმით სწავლობს ყველა, ვინც კი ფიქრობს ეზიაროს რევოლიუციურ მარქსიზმს.

1884 წელს, უკვე მარქსის სიკვდილის შემდეგ, ენგელსმა გამოუშვა წიგნი: „წარმოშობა ოჯახისა, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოისა,“ რომელშიაც ის მკითხველს აცნობს მეცნიერ მარგანის კვლევა-ძიების შედეგებს, რაც შეეხება კაცობრიობის წინა ისტორიული ეპოქის ცხოვრებას და პირველ ყოფილ კომუნიზმს. ენგელსმა თავის მხრივ და ამერიკელ ეტნოგრაფ-მეცნიერის გამოკვლევა შეავსო ახალი ფაქტებით და მის მიერ გამოყვანილი დასკვნებით. როგორც კაუცკი გადმოგვცემს ეს შრომა მარქსს ჰქონდა განზრახული, მარა ვერ მოასწრო მისი შესრულებაო.

ენგელსის სხვა კლასიკურ ნაწარმოებიდან უნდა მოვიხსენოთ მისი „ლიუდვიგ ფეიერბახი“ და „რევოლიუცია და კონტრ რევოლიუცია გერმანიაში.“ ამ უკანასკნელ შრომას დღემდე აწერდენ მარქსს (ნ. ფრ. მერინგის „გერმანიის ისტორია საშუალო საუკუნოებას ბოლოდან.“ შენიშვნა 169 გვ. რუსული გამოცემა).

მარქსის სიკვდილის შემდეგ (1883 წ.) ენგელსს დაეკისრა უდიდესი, გრანდიოზული საქმე, საქმე მარქსის ლიტერატურული სამკვიდროს გამოცემისა. „კაპიტალის“ მეორე ტომი მარქსს ხელნაწერათ დარჩა. მარა ბეჯითი რედაქციის გაკეთება მაინც დასჭირდა: საჭირო შეიქნა შესწორება, დამატება—შევსება და სხვა. მესამე ტომი მხოლოთ შავათ დაწერილი იყო ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნარკვევებათ, ცალ-ცალკე შენიშვნებით, რაც ნაჩქარევათ იყო ნაწერი სხვა და სხვა ენებზე. ყველა ამეების გადასინჯვა, წესრიგში მოყვანა, შემუშავება და დამთავრება შეეძლო მხოლოთ გენიალურ თანამეომარს თვით მარქსისას. „ენგელსი მეორე და მესამე ტომის გამომცემელი კი არ არის, არამედ მისი შემქმნელიაო,“ სწერდა ვიქტორ ადლერი.

ენგელსის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ვრცელი წინასიტყვაობანი მარქსის ისტორიულ ნაწერებისათვის: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ და „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში,“ აგრეთვე 1889 წელს გამოცემულ „კომუნისტურ მანიფესტისა“ იმ დროს, როცა მეორე ინტერნაციონალის პირველი კონგრესი დგებოდა.

ცდილობდა რა მარქსის ანდერძის შესრულებას ენგელსი, იმავე დროს იგი უყურადღებოთ ოდნავაც არ ტოვებდა მიმდინარე სამუშაოს. ის აწარმოებდა სივრცით ბუმბერაზიულს და შინაარსით მდიდარს მიწერ-მოწერას სხვა და სხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობას ხელმძღვანელებთან, აწვდიდა რა მათ რჩევა-დარიგებას, ურკვევდა მეტათ დახლართულ კითხვებს პრაქტიკულ და თეორიულ მუშაობისას. ის თანამშრომლობდა: გერმანულ სოც.-დემოკრატიის მეცნიერულ ჟურნალში „Neue Zeit“-ში საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიის ორგანოებში, აგრეთვე ნემეცურ ავსტრიულ „სოციალ-დემოკრატში“. ის დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ყველა ქვეყნებში სოციალისტურ მოძრაობას და პირადათ იღებდა მონაწილეობას ინგლისის მუშათა მოძრაობაში, სადაც ის ცხოვრობდა. დიდ ყურადღებას აქცევდა ენგელსი რუსეთს. განცვიფრებით ადევნებდა თვალყურს ის „ხალხის ნების“ პარტიის გმირულ ბრძოლას. და განსაკუთრებული ინტერესით ეცნობოდა რუსეთის ეკონომიურ წყობილებას და ღრმათ უკვირდებოდა მის განსაკუთრებულ მეურნეობის საფუძვლებს. რუსეთს მან უძღვნა სპეციალური სტატია. ის განსაკუთრებულ ყურადღებას და მნიშვნელობას აძლევდა რუსეთის გლეხკაცობას, ერთგვარ საყურადღებო როლს ინტელიგენციასაც აწერდა, მაგრამ უმთავრესათ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ რუსეთში საქმეთა მდგომარეობა საერთო ევროპიულ პირობებზეა დამოკიდებულიო. ის უთითებდა რუსული კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებაზე და მის კავშირზე მსოფლიო მეურნეობასთან, ამასთან—რუსეთის გადაგვარებაზე.

ის ვერ მოესწრო იმ დროს, რაც რუსეთის მუშათა კლასმა თვით წარმოშვა და წამოაყენა თავისი რევოლიუციონური პარტია, რომელმაც გაამართლა რუსეთის სოციალდემოკრატიის მამათ მთავარის, გ. პლეხანოვის წინასწარმეტყველება, რომელმაც ეს აზრი მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე გამოთქვა, სახელდობრ: „რომ რევოლიუცია რუსეთში გაიმარჯვებს, როგორც მუშათა რევოლიუცია, ან და სულაც ვერ გაიმარჯვებსო“.

სამაგიეროთ ენგელსმა თავისი თვალით იხილა პროლეტარული ინტერნაციონალის აღორძინება, რომელიც მარქსიზმის დროშის ქვეშ დადგა. ოვაციები, რომლებიც ენგელსს გაუმართეს 1893 წელს ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე, იყო არა მხოლოთ ჩვეულებრივი პატივისცემის ნიშანი, არამედ მაჩვენებელი იმისა, რომ რევოლიუციური ალგებრა შემდგარ-შემუშავებული მარქსისა და ენგელსის მიერ საერთაშორისო პროლეტარიატმა უკვე შეითვისა.

ენგელსი გარდაიცვალა 1895 წელს. თეთრია მარქსთან ერთათ მის მიერ შემუშავებული დღეს ყველა ქვეყნების მშრომელთა მასსებს იპყრობს და უძლეველათ ხდის მათ. რუსეთის პროლეტარული რევოლიუცია, რომელიც მარქსისა და ენგელსის მიერ ნაჩვენებ გზას დაადგა, ბრძოლით ახორციელებს მათ ანდერძს. მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია სავსებით და სრულიათ გაატარებს ცხოვრებაში მათ დიად თეორიას. კომუნისტური კაცობრიობა, გარდაქმნის რა ქვეყნიერებას იმ გეგმით, რომელიც მათ გამოგვიხატეს თავიანთ უკვდავ ნაწარმოებებში, ყოველთვის ალფრთოვანებით სცემს პატივს და მიუძღვნის დიდებას პირველ დიად კომუნისტების სახელსა და ხსოვნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი

№ 7 № 7

## ქალის „ბუნებრივი“ ფუნქციები.

რაც უფრო მეტია ჩაგვრა და ყვლეფა, მით უფრო ძლიერია ის წინააღმდეგობა, რომელსაც დაჩაგრულნი უწევენ დამჩაგვრელთ. ეს დებულება ზოგიერთს უდაო ჭეშმარიტებათ მიაჩნია, მარა თუ ჩავუკვირდებით, იმ დასკვნას დავადგებით, რომ იგი არ შეიცავს მთელ სიმართლეს.

ჩაგვრა და მის საწინააღმდეგო ბრძოლა რომ ერთმანეთს ეთანასწორებოდეს, მაშინ ადგილი არ ექნებოდა ისეთ მოვლენას, რომ თანამედროვე საზოგადოების ყველაზე უფრო დაჩაგრული არსება —ქალი ყველაზე ნაკლებ უნარს იჩენს განმათავისუფლებელ ბრძოლაში. საუკუნეობით განმტკიცებული მონობის უღელი მას ისე შეუთვისებია, რომ თავის საკუთარ ბუნებათ დაუსახავს. საერთო უფლებობა და მატერიალური ჩაგვრა რომლის თანაზიარი მამაკაციც არის, მით უფრო მძიმე გავლენას ახდენს ქალის მდგომარეობაზე, რამდენათაც ის ალარც კი გრძნობს მას და დაუკარგავს უნარი აქედან გამოწვეულ ტკივილების შეცნობისა. მაგრამ ამას ემატება სპეციალურათ ქალისთვის არსებული ჩაგვრა და შევიწროება, რომელსაც ყოველ წამს გრძნობს ქალი და ამის გამო თავის გაჩენის დღესაც სწყევლის, მარა ყოველივე ეს მას მიაჩნია თვით ბუნების მიერ მიკუთვნებულ სასჯელათ, რომელიდან განთავისუფლება მისი აზრით მხოლოთ სიკვდილს შეუძლია.

ეს ჩაგვრა და შევიწროება მართალია დაკავშირებულია ქალის განსხვავებულ სქესობრივ მდგომარეობასთან, მაგრამ ეს ასეა მხოლოთ ფაქტიურათ, როგორც ისტორიული განვათარების შედეგი. სულაც არ არის სავალდებულო, რომ ეს ფაქტი და ეს განვითარება თვით ბუნების კანონათ მივიჩნიოთ და მისი ურყეველობა ვიწამოთ. მართალია ქალი, როგორც მშობელი, თვით ბუნებას შეუქმნია ასეთათ, მაგრამ დღევანდელ სოციალურ პირობებში მშობლის როლი არ განისაზღვრება მარტო შვილის შობით, ამას ზედ ერთვის შვილის კვება, მოვლა და აღზრდა. ეს ფუნქციები კი ისეთი ხასიათისა, რომ სულაც არ არის აუცილებლათ დაკავშირებული ქალთან, როგორც მშობელთან. ჩვილი ბავშვის კვება, მოვლა და აღზრდა შესაძლოა მაშინაც მშვენივრათ სწარმოებდეს, რომ მშობელი თვით მშობიარობის დღეს გარდაიცვალოს.

მართალია, ასეთ უდედო აღზრდას თანამედროვე პირობებში მეტ წილათ ღუხჭირი ხასიათი აქვს, რადგან ობლობა გულისხმობს აუტანელ პირობათა მთელ რიგს, მარა ეს ასეა მხოლოთ დღევანდელ საზოგადოებაში, რომელიც კერძო საკუთრების ნიადაგზე სავსებით გათიშულ—დაქუცმაცებულია. პროლეტარ ქალს, რომელსაც არავითარი სხვა საკუთრება არა აქვს, აკუთვნებენ თავის შვილს და მოვალეთ ხდიან ეს საკუთრება საზოგადოებას ალუზარდოს, რაც გინდ აუტანელ პირობებში იყოს თითონ აღმზრდელი ჩაყენებული. საზოგადოება, რომელიც ღირსია ამ სახელისა, თითონ უნდა გრძნობდეს თავს ბავშვის პატრონათ მისი დაბადების და ჩასახვის დღიდან. ნამდვილათ კი იგი მხოლოთ მზამზარეულს ეპატრონება და მაშინ სწყვეტს დედა-შვილის კავშირს, როდესაც შვილის ექსპლოატაცია თუნდ ნაწილობრივათ მაინც შესაძლებელია.

რაოდენ ტანჯვას და უზომო ენერგიის ხარჯვას იწვევს ბავშვის აღზრდა ერთი მშობლის ხელში, მაშინ როდესაც ეს ტანჯვა და ენერგია მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი, რომ ბავშვი თავის ტოლებთან ერთათ საზოგადო დაწესებულებაში იზრდებოდეს ერთი ან რამდენიმე აღმზრდელის ხელში. აშკარაა, ბავშვების აღზრდა არ წარმოადგენს დედის ბუნებრივ ფუნქციას და მას ადვილათ შეასრულებს სხვა ქალიც და რამოდენიმეთ მამაკაციც.

ოჯახის მოვლა, სამზარეულო, სამრეცხაო და სხ. დღეს ქალის ბუნებრივ ფუნქციათ არის აღიარებული და ამის წყალობით ქალი პირდაპირ მიკრულია ოჯახურ კერას. მაგრამ ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ ოჯახური სახაბაზო, სამრეცხაო და თვით სამზარეულო თანდათან ისპობიან და ადგილს უთმობენ ოჯახს-გარეთ არსებულ დაწესებულებებს.

ასეთია ეს და სხვა მრავალი „ბუნებრივი“ ფუნქციები, რომლებიც ქალის ბუნების დამჩაგვრელებათ გადაქცეულან. სანამ მთგან არ გაინთავისუფლებს თავს თანამედროვე ქალი, ზედმეტია - რაიმე თავისუფლებაზე ლაპარაკი. ეხლანდელი ცხოვრება სწრაფათ მიდის ამ „ბუნებრივ“ ფუნქციათა მოსპობისაკენ.

## ოლა გაბუნიას ხსოვნას

დღეს ვიგონებთ წარსული წლის ოქტომბრის დამლევს უდროვოდ დაკარგულ ერთ ამხანაგთაგანს, ჩვენი ძვირფასი ოლა გაბუნიას ხსოვნას.

ის იყო ჩვენ ამხანაგთა შორის, განსაკუთრებით ჩვენ ქალთა შორის, ნაკვთა ჩამოსხმული პიროვნება, რომლის მსგავსიც კი მეტათ იშვიათია ჩვენს დაკნინებულ, უბადრუკ ქართველურ პირობებში.

ერთათ-ერთ ოლას ვიცნობდი მე ჩვენ ქალთა შორის, როგორც ტიპიურ გამომხატველს ქართველი რევოლიუციონერი ქალისას, რომელთა რიცხვი ჩვენში ჩვენდა სამწუხაროთ, მეტათ მცირეა.

იმ დროს, როცა ჩვენ ჯერ კიდევ პარტია ვიყავით და ჩვენი ჯგუფი ჯერ კიდევ გაჩენილიც არ იყო, უკვე პროლეტარულ რევოლიუციურ მიდრეკილებებს იჩენდა იგი.

მაგონდება, თუ როგორი თავდაუზოგველობით, ხალისით და გატაცებით დადიოდა ის, ჯერ ისევ ნორჩი, სულ ახალგაზრდა ქალწული მუშათა წრეებში, სულ ერთი იყო დედაკაცები იყვნენ ისინი, თუ მამაკაცნი. და დადიოდა ის მუშათა წრეებში და რაც იცოდა და როგორც იცოდა რევოლიუციონურ პროპაგანდას ეწეოდა. სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში მისი მკვირცხალი, მხიარული, დაუზარებელი და ენერგიის აღმძღვრელი მოქმედება—მოპყრობა.

ოლასთან ყველა ამხანაგი, ქალი იყო ის, თუ კაცი, მართლა ამხანაგათ გრძნობდა თავს და მუდამ ამხანაგურ სოლიდარობას ჰპოებდა მასში. ის განხორციელება იყო პროლეტარული სოლიდარობის.

პროლეტარული ამხანაგური სოლიდარობა და სქესთა თანასწორობის გრძნობა-უფლების გამოხატულება, აი რას წარმოადგენდა უდროვოთ დაღუპული ჩვენი ძვირფასი ამხანაგი, ტკბილათ მოსაგონარი ჩვენი ოლა.

მარა ის, როგორც უბრალო ამხანაგი, როგორც არა რჩეული, უჩინარი იყო ჩვენ შორის. მას შეეძლო ბევრი რამ იმაზე ბევრათ მეტი გაეკეთებია, რაც გააკეთა. მარა ეს არ მოხდა ჩვენდა საგალალოთ. მას ნამდვილ მტკიცე და თავგანწირულ რევოლიუციური სულისკვეთების ადამიანს ჩვენი პარტიის საპატიო პოსტზე უნდა გადეშალა თავისი ძალ ღონე და ჩვენ მაშინ ვიხილავდით ჩვენს ოლას, ნამდვილი თავისი წარმტაცი, მებრძოლი მტკიცე ხასიათით.

დე იყოს მისი მოგონება, მისი პიროვნება მისაბაძი მაგალითი ჩვენი პარტიის წევრთათვის. ყოველ დაბრკოლებას ძლევს ის პარტია, რომელსაც ბლომათ მოეპოვება ოლასებური წევრი. ვაშა მის სახელს, მის ქალობას! საუკუნო იყოს მის ხსოვნა და მოგონება ჩვენ შორის!

რ. კ.

## აღმოსავლეთის ქალთა პირველი ნაბიჯი

21 აგვისტოს ბაქოში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე ჩვენ ვიხილეთ დელეგატების დიდი ჯგუფი.

ყრილობა აღმოსავლური ტანისამოსებით იყო აჭრელებული. დელეგატებში ხშირათ მოსჩანდა ქალების ჩეპჩიკები და წითელ-არმიელთა ქუდები. იქ დაინახავდით ხხვა და სხვა ეროვნებათა ტიპებს ეროვნულ ტანისამოსებში, საზოგადოების სხვა და სხვა წრის წარმომადგენლებს, რომლებს ვერც პროლეტარებათ და ვერც ნახევარ პროლეტარებათ ვერ ჩათვლით. წარმოდგენილი იყვნენ თურანელები, სარტები, ყირგიზელები, ხიველები, ბუხარცები და სპარსელები.

სურათი მომხიბვლელი. სრულიად მოულოდნელათ აღმოსავლეთელ ქალთა ჯგუფს, რომელიც განკერძოებით იდგა. ცხადია, ძველი კარჩაკეტილობა უკვე ძირ-შერყეულია. აღმოსავლეთის მონა ქალი, მონა თვისი ქმრის, მიჯაჭულ—მიბმულ ოჯახის კერას ჰგლეჯს ხუნდებს, განათლების და განთავისუფლების გზაზე დგება, ათასი ვერსის მანძილზე სცილდება ძველს დამყაყებულ წეს—ადათებს, იგი ესწრება გრანდიოზულ ყრილობას.

ჩვენ ძალიან დაგვაინტერესა ამ ქალთა დასმა. მათ შორის ბევრი იყო მუსულმანურ ქვეყნებიდან მოსულნი, მაგრამ მათ შორის ოთხი ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები აღმოჩნდენ. მათი სახეები მუქი პირბადით იყო ჩამობურული. ეს ადათი დღემდის შენახულა აღმოსავლეთში. ამით ისინი იჩენენ მამაკაცებთან თავის მოკრძალებას თუ განკერძოებას. მაგრამ ისინი მამაცურათ გამოდიან სამოღვაწეოთ ქალთა განთავისუფლების გზაზე.

ბაქოს ქალთა ორგანიზაციამ მეორე დღეს დიდი დემონსტრაცია მოაწყო, რომელშიც 300—400 ქალი ღებულობდა მონაწილეობას. ამ მუშა ქალთა დასიდან გამოდიოდენ მუსულმანი მუშა ქალები. 40—50 მუსულმანი ქალი მთვარე და ვარსკვლავიანი წითელი დროშით იყვენ.

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობამ საძირკველი ჩაუყარა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აღმოსავლეთის ქალთა მონაწილეობა—თანამშრომლობას.

ლ. გ.

## მუშა-ქალთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია.

(დასასრული იხ. „ახ. კომუნ.“ № 100).

### მეოთხე სხდომა.

კვირას, პირველ აგვისტოს მუშა-ქალთა საერთაშორისო კონფერენციამ მუშაობა დაასრულა. უკანასკნელ სხდომაზე საზღვარგარეთელ ქალებისთვის საბჭოთა რუსეთის ქალებში მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ინესსამ. მან გააცნო კონფერენციას, თუ რა მონაწილეობას ღებულობენ ქალები პოლიტიკურ საქმიანობაში.

ამხ. ეგოროვამ ქალთა ოჯახური მონობისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებაზე გააკეთა მოხსენება.

მან მკაფიოთ აღნიშნა ის ზომები, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ იხმარა ქვეყნის სოციალურათ გარდასაქმნელათ: ბავშვების აღზრდა საზოგადო ხარჯზე, სკოლების სრული გადაკეთება, ბავშვთა სახლების და ბაღების მოწყობა, სასადილოების მოწყობა და სხ.. მან სთქვა, რომ პეტროგრადში უკვე 60 ათასი ბავშვი არის ბავშვთა თავშესაფარში სახელმწიფოს ხარჯზეო. იგი შენიშნავს, რომ რუსეთში 260 ათასი მასწავლებელი არის ერთი მილიონის მაგივრათო.

მასწავლებელთა რიცხვის გასაზრდელათ არსდება ახალი კურსები, სადაც მოკლე დროში ამზადებენ მასწავლებლებათ.

თავისი სიტყვის დასკვნაში ამხ. ეგოროვა მოუწოდებს დასავლეთის მუშა-ქალებს დაეხმარონ რუსეთს ამ სასიქადულო მუშაობაში და მით ხელი შეუწყონ კომუნიზმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში.

კონფერენცია დისკუსიით გათავდა. გაიხსნა კამათი მუშა-ქალებში მუშაობის ტეზისების შესახებ. ეს ტეზისები და მანიფესტი სარედაქციო კომისიას გადასცეს.

სხდომის ბოლოს ინესსამ და ცეტკინმა მოიყვანეს ამ კომუნისტ მუშა-ქალთა პირველი კონფერენციის ანგარიშები.

## მუშა-ქალთა საერთაშორისო კონფერენცია

30 ივლისს მუშა-ქალთა საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. თათბირზე 11 ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო. კრების საზეიმო გახსნა დიდ თეატრში მოხდა. პირველი სხდომა მისალმებებით გათავდა. შემდეგი სხდომას უფრო საქმიანი ხასიათი ჰქონდა.

პირველ სხდომაზევე მიღებულ იქნა მანიფესტი მთელი ქვეყნის მშრომელ-ქალთა მიმართ. მანიფესტი მოუწოდებს მუშა ქალებს შემოკრბენ მესამე ინტერნაციონალის გარშემო და აღმართონ დროშა აჯანყებისა კაპიტალის წინააღმდეგ მასში ნაჩვენებია გზა, რომელიც გაანთავისუფლებს ჩაგვრისაგან მუშებს და მუშა-ქალებს, გზა—სოციალური რევოლიუციის.

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც რუსეთის რევოლიუციის და რ. კ. პ. მიერ მუშა ქალთა შორის მუშაობის გამოცდილების მეოხებით, უფრო კონკრეტიულათ მიუთითებს პროლეტარულ ქალთა შორის მუშაობის მეთოდებზე ყველა ქვეყნებში, სადაც არის საბჭოთა ძალა-უფლება, ან არ არის.

ეს რეზოლიუცია საფუძველათ იქნა მიღებული და გადასცეს იქვე არჩეულ კომისიას ზოგიერთ შესწორებათა შესატანათ.

დიდი ინტერესი გამოიწვია წარმომადგენელ ქალთა მოხსენებებმა ადგილებიდან.

ყველა მოხსენებები აღნიშნავენ მუშა ქალთა საშინელ ეკონომიურ მდგომარეობას. გერმანიაში ისინი აბბოხებებს აწყობენ, გამოდიან ბაზრებზე და იტაცებენ საქონლებს მათ მიერ დაწესებულ ნიხრზე.

ავსტრიაში სიმშილის გამო ბავშვებს საზღვარ გარეთ აგზავნიან. ბინის კრიზისი, განსაკუთრებით უმუშევრობა, რომელიც ქალთა შორის მაინც საზღაპრო ხასიათს ღებულობს, აუტანელ მდგომარეობას ხატავენ ამერიკის, ავსტრალიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

ეს მძიმე მდგომარეობა უარესდება კიდევ რეაქციით, რომელიც ყოველგან მძინვარებს. იგი რეაქცია ქალთა შორის ყოველ გვარ მუშაობას ხელს უშლის. ფარული მუშაობა მტკიცეთ აკავშირებს ჩამორჩენილ მუშა ქალთა მასებს, ამბობს გერმანიის დელეგატი ქალი. ფინლიანდიაში იჭერენ ვისაც წამოსცდება სიტყვა--„კომუნისტი,“ აშკარათ გამოსვლა -გამოჩენა სრულიად შეუძლებელია.

განსაკუთრებული საშინელებას წარმოადგენს უნგრეთში მძინვარე თეთრი ტერრორი. როგორც დელეგატი იცნობება, იქ შეუძლებელია არალეგალური მუშაობაც კი. მუშა ქალებს სცემენ, აუპატიურებენ, კალამი ვერ ასწერს ჯალათების ჩადენილ საგმირო საქმეებს. „მე მსურს, ამბობს დელეგატი, რომ მუშებმა უნგრეთის მაგალითზე დაინახონ, თუ რა დაუკარგავთ მუშებს საბჭოთა ძალა უფლების სახით“.

ერთის მხრით რეაქცია ბორკავს მუშებს, მაგრამ მეორეს მხრივ მძიმე ეკონომიური მდგომარეობა არევოლიუციონერებს მუშებს, ამზადებს მას უფრო სასტიკი გამოსვლებისთვის. გერმანიაში ქალებმა პირველათ გამოვიდენ საპროტესტო დემონსტრაციით რევოლიუციონერების მოკვლის გამო. ფინლიანდიაში, მიუხედავათ მთავრობის სასტიკი რეპრესიებისა, ქალთა შორის მუშაობა დიდი სისწრაფით და წარმატებით მიდის წინ.

1919 წლის მიწურულში იქ მოხდა სოც.-დემოკრატ. ქალების ყრილობა. დაესწრო 70 დელეგატი. მთელი ყრილობა მემარცხენეების დროშის ქვეშ ჩატარდა. ყრილობაზე შემოტანილ იქნა წინადადებათ მესამე ინტერნაციონალში შესვლა და კლასიური ბრძოლის მიმხრობა.

მხოლოდ ინგლისელ დელეგატ-ქალმა ვერ თქვა რა თავის ქვეყანაში მუშა ქალთა მოძრაობის შესახებ;—როგორც მისი სიტყვებიდან სჩანს, იქ, ინგლისში, მუშა ქალთა მოძრაობა ძალიან სუსტია. ინგლისში იყო ბურჟუაზიული ქალთა მოძრაობა, მაგრამ იგი ომის დროს გაჰქრა.

საინტერესოა მესსინის დელეგტის მოხსენება. იგი აღნიშნავს რომ თავდაპირველათ მათ ჰყავდათ 50 მუშა-ქალი, ხოლო ახლა ქალთა მოძრაობაში დიდძალი მუშა-ქალები ღებულობენ მონაწილეობასო.

ყველა დელეგატები ადასტურებენ, რომ რუსეთის რევოლიუციას ქალთა მოძრაობაზე ყველა ქვეყანაში დიდი ზედგავლენა აქვსო.

ყველა აღიარებენ, რომ საჭიროა რუსეთის რევოლიუციის მაგალითით სარგებლობა. რუსეთის რევოლიუცია მათ აძლევს საპრაპაგანდო და სააგიტაციო მასალას. დე, ამ განცხადებამ აღჭურვოს ძალით და შეგნებით მთელი ქვეყნის დაჩაგრული ქალები მსოფლიო კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების დასაგვირგვინებლათ.

А. Ункова.

## განცხადებანი.


გამომცემლობა

„წითელი ვარსკვლავი“

გამოსულია.

1. ვინ არიან კომუნისტები (ბოლშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.
7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
8. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია.
9. ნ. ვექტორი. რით აიხსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება.
10. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.

იბეჭდება:

11. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.
12. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
13. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
14. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). ბიურო ღიაა დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135. ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.


დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.

სტამბა „ეკონომიური დიდიანქის ქ. № 3.